

## მ უ ნ ი ზ მ ი

ეს მიმდინარეობა რამდენიმე სახელწოდებითაა ცნობილი: „ერთობის მოძრაობა“, „სულიწმინდის ასოციაცია მსოფლიო ქრისტიანთა ერთიანობისათვის“ ანუ „ერთობის ეკლესია“. ამ სახელწოდებათა მიღმა მოიაზრება სინკრეტულ- სპირიტუალური მოძრაობა, რომელიც კორეაში ჩაისახა და ამერიკაში ჩამოყალიბდა და მსოფლიოს ყველა კონტინენტზე გავრცელდა. მისი ფუძემდებელია - სან მიუნგ მუნი. მის შემუშავებულ თეორიულ და პრაქტიკულ - მუნიზმს, მიმდევრებს კი „მუნისტებს“ უწოდებენ. მუნი პრესვიტერიანულ პასტორის ოჯახში დაიბადა. 25 წლისამ მან საპროგრამო ტრაქტატი დაწერა და ამტკიცებდა, რომ ის მესიაა, მას ქრისტე, ბუდა და სხვ. წინასწარმეტყველები გამოეცხადნენ და უთხრეს ჩვენი საქმე ბოლომდე მიიყვანეო. 1954 წ. მან სეულში „ერთობის ეკლესია“ დაარსა. 1972 წ. ის ამერიკაში გადასახლდა, იქ მიმდევრებთა დიდი კოლექტივი შემოიკრიბა და მნიშვნელოვანი კაპიტალიც დააგროვა. იგი დააპატიმრეს და წელიწადნახევრიანი პატიმრობა მიუსაჯეს. 1992 წ. მან თავი კაცობრიობის მამად და მესამე ადამად (ქრისტეს შემდეგ), ხოლო თავისი ცოლი- კაცობრიობის დედად და მესამე ევად (ღვთისმშობლის შემდეგ). მან ერთდროულად 2075 წყვილი აქორწინა ( მათ პირველად ენახათ ერთმანეთი). მუნი ამბობს, რომ მის მიერ დაფუძნებული მოძრაობის მიზანია არა ახალი რელიგიის შექმნა, არამედ ქრისტიანული კონფესიების, შემდეგ კი ყველა სხვა ხალხის ერთი ღმერთის საფარველით გაერთიანება.

მუნისტები თბილისში 1999წ. გამოჩნდნენ, რაზეც საპატრიარქომ პროტესტი გამოთქვა. არსდება ორგანიზაციები: „საერთაშორისო საგანმანათლებლო ფონდი“, „ქალები მშვიდობისათვის მსოფლიოში“, „ოჯახები მშვიდობისა და ერთიანობისათვის მსოფლიოში“ და სხვ. 2005 წ. თბილისში „მსოფლიო მშვიდობის ფედერაციის“ ფილიალი დაარსდა.

საქართველოში (თბილისში) მუნისტების მცირერიცხოვანი ჯგუფი მოქმედებს.